GIU № 01-01/49

16/04/2025

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის ბრძანება N 01-01/49

ქ.თბილისი, 16 აპრილი, 2025 წ.

(სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის კონკურსის გამოცხადების შესახებ)

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სტაჟირების ორგანიზების წესის მე-5 მუხლის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სტაჟირების ორგანიზების წესის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-სა და თუნგ ვას კოლეჯს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და უნივერსიტეტის შიდა-სამართლებრივი აქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის II და III კურსების სტუდენტებისათვის გამოცხადდეს კონკურსი თუნგ ვას კოლეჯში საერთაშორისო მობილობით მაქსიმუმ 2 სტუდენტის გაგზავნის მიზნით;
2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:
I ეტაპი: აპლიკაციების მიღება;
II ეტაპი: სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა და შერჩევა კომისიის მიერ;
III ეტაპი: კანდიდატებთან გასაუბრება (კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოიცავდეს გასაუბრებას ან/და პრეზენტაციის ჩატარებას ან/და ტესტირებას ინგლისურ ენაში)
ზემოთ აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია ახდენს შედეგების დაჯამებას და კონკურსში გამარჯვებულ პირთა გამოვლენას;
3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
ა. განაცხადი (საკონკურსო ფორმის შესაბამისად);
ბ. დიპლომების ასლები;
გ. სამოტივაციო წერილი ქართულ და ინგლისურ ენაზე;
დ. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთი დოკუმენტის

არარსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა ტესტირებით ან/და გასაუბრებით; ამასთანავე, იმ პირთათვის, რომლებიც გადაწყვეტენ ხარისხის მოსაპოვებლად წასვლას, აუცილებელია TOEFL ან IELTS ტესტის ჩაბარება);
ე. CV ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ვ. 1 ან 2 სარეკომენდაციო წერილი;
ზ. სხვა უნარებისა და მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტული კონკურსის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს პირის შესარჩევად (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერკლასებსა და სხვა კონკრეტულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).
4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს თუნგ ვას კოლეჯის სტიპენდიას 35 000 ჰონკონგური დოლარის ოდენობით და სწავლის გადასახადისგან იქნება თავისუფალი (დანარჩენი ხარჯები, რომლებიც შეადგენს დამატებით 35 000 ჰონკონგურ დოლარს, ინდივიდუალურად თითოეულ სტუდენტს თავად ექნება ასანაზღაურებელი);
5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 16 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით;
6. მესამე ეტაპზე გასულად ჩაითვლება კანდიდატი რომლის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეესაბამება არანაკლებ B2-ს და აღნიშნული დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით ან ამ ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ფარგლებში;
7. დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ორგანიზება და კოორდინაცია;
8. დაევალოს უნივერსიტეტის ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანს წინამდებარე ბრძანების გავრცელება;
9. უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომინიკაციის სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;
10.ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან;

1. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან

1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ,
რექტორი,
პროფესორი
ელისაშვილი ელისო